

დაზღვევის პირობები

1. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე ან მის ნაწილობრივ შესრულებაზე

1.1. მზღვეველი ვალდებულია :

1.1.1. გააცნოს დამზღვევეს დაზღვევის პირობები და წესები.

1.1.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში, მიიღოს ზომები ყველა აუცილებელი დოკუმენტის გასაფორმებლად სადაზღვევო ანაზღაურების დროული გადახდის მიზნით.

1.1.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში განახორციელოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით, განსაზღვრულ ვადებში და წესით. მზღვეველს აკისრია ქონებრივი პასუხისმგებლობა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვადაგადაცილებაზე გადასახდელი თანხის 0.01%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

1.1.4. დაიცვას დამზღვევზე და მის ქონებრივ მდგომარეობაზე ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების გაფორმებისას გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.1.5. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის შემთხვევაში წერილობით შეატყობინოს დამზღვევეს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის მანძილზე.

1.1.6. მზღვეველი ვალდებულია აცნობოს დამზღვევეს და მომავალ მემკვიდრეებს იმ მოვლენის შესახებ დამზღვევის ინფორმირების ვადების შესახებ, რომელიც აღნიშნულია პირობების 2.1. პუნქტში.

1.2. დამზღვევი ვალდებულია:

1.2.1. ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ვადებში გადაიხადოს სადაზღვევო პრემია.

1.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას წარუდგინოს მზღვეველს ინფორმაცია ყველა მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ, რომლებსაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა სადაზღვევო რისკის შესაფასებლად, და შემდგომში მოახდინოს მისთვის ინფორმაციის მიწოდება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სადაზღვევო რისკის ცვლილებაზე.

1.2.3. შეატყობინოს მზღვეველს დაზღვევის ობიექტის შესახებ სხვა მოქმედი დაზღვევის ხელშეკრულებების არსებობის თაობაზე.

1.2.4. მიიღოს ზომები სადაზღვევო რისკის თავიდან აცილების ან შემცირებასთან მიმართებაში.

1.2.5. შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის პირობებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

1.2.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს დაზღვევის პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები. ეს მოთხოვნა ვრცელდება აგრეთვე დაზღვეულ პირებზე. დაზღვეული პირის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა

იწვევს იგივე შედეგებს, რასაც მათი შეუსრულებლობა უშუალოდ დამზღვევის მიერ.

1.3. მზღვეველი უფლებამოსილია:

1.3.1. დაზღვევის რისკის ხარისხის შესაფასებლად მოითხოვოს დამზღვევისაგან ინფორმაციის წარდგენა.

1.3.2. მოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულია ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებში, ბანკებში, სამედიცინო დაწესებულებებში და სხვა წარმოებებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების შესახებ, აგრეთვე დამოუკიდებლად გაარკვიოს სადაზღვევო შემთხვევის მიზეზები და გარემოებები - ჩაატაროს შემთხვევის მიზეზების და გარემოებების გამოკვლევა ამ მიზნით მზღვეველს აქვს უფლება დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტები, გააგზავნოს დაზღვეული პირი სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად მზღვეველის მიერ მითითებულ სამედიცინო დაწესებულებაში ან ექიმთან (ან გააგზავნოს ექიმი დაზღვეულ პირთან გასასინჯად (სამედიცინო დათვალერებისათვის)).

1.3.3. შეამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სისწორე.

1.3.4. განაცხადოს უარი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დაზღვევის პირობების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

1.3.5. მოითხოვოს დამზღვევისაგან გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა გარემოებების შესახებ, რომლებიც მითითებული არიან წინამდებარე დაზღვევის პირობებში.

1.3.6. ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

1.3.7. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით საექვო მიზეზების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გადავადება ექვის დადასტურებამდე ან უარყოფამდე ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

1.3.8. გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის შემთხვევის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება ან დაწყებულია სასამართლო პროცესი. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა გადაიდება გამოძიების ან სასამართლო საქმის დასრულებამდე ან დამზღვევის (დაზღვეული პირის) ან სამართალმემკვიდრის უდანაშაულობის დადგენამდე.

1.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

1.4.1. ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წინამდებარე დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით.

1.4.2. დადოს მზღვეველთან პირადი დაზღვევის ხელშეკრულება მესამე პირების მიმართ მათი თანხმობის შემთხვევაში.

1.4.3. გაასაჩივროს მზღვეველის უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს წესით.

1.4.4. მოითხოვოს მზღვეველისაგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული წესით და ოდენობით.

2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის წესი და პირობები

- 2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დამზღვევმა ან დაზღვეულმა პირმა, ხოლო დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში – მოსარგებლემ, (სამართალმემკვიდრე) უნდა შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის შეტყობიდან (როცა უნდა შეეტყო) 24 საათის განმავლობაში.
- 2.2. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დამზღვევმა, დაზღვეულმა პირმა ან მოსარგებლემ უნდა მიმართონ მზღვეველს წერილობით და წარუდგინონ სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის დადგომასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- 2.3. განცხადებას სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:
- წინამდებარე ხელშეკრულება;
 - დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტს: სამედიცინო ბარათი; ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან; ავადმყოფობის წერილი; სამედიცინო დაწესებულებების ცნობა; ცნობა სპეციალური უფლებამოსილი ორგანოდან ინვალიდობის ჯგუფის დადგენაზე; აქტი წარმოებაში უბედური შემთხვევის შესახებ; აქტი სატრანსპორტო - საგზაო შემთხვევაზე; გარდაცვალების მოწმობის ასლი - დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში; სასამართლო გადაწყვეტილება ან სასამართლოს განაჩენი; ექსპერტიზის დასკვა სამართალდამცავი და სხვა კომპეტენტური ორგანოების საბუთები დაზღვევის შემთხვევის დადგომის გარემოებების და მიზეზების შესახებ;
 - მემკვიდრეობაზე უფლების მოწმობის დამადასტურებელი ასლი (დაზღვეული პირის მემკვიდრისათვის).
- 2.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხორციელდება შემდეგი ოდენობით:
- 2.4.1. დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში - სადაზღვევო თანხის 100% (ასი პროცენტი);
- 2.4.2. დაზღვეული პირისათვის ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში :
- 1 ჯგუფი – სადაზღვევო თანხის 90% (ოთხმოცდაათი პროცენტი);
 - 2 ჯგუფი - სადაზღვევო თანხის 75% (სამოცდათხუთმეტი პროცენტი);
 - 3 ჯგუფი - სადაზღვევო თანხის 50 % (ორმოცდაათი პროცენტი).
- თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაზღვეული პირისათვის უბედური შემთხვევის გამო ინვალიდობის დადგენის შემდეგ იქნება მინიჭებული უმაღლესი ჯგუფის ინვალიდობა ან დაზღვეული პირი გარდაიცვლება ამავე უბედური შემთხვევის გამო, სადაზღვევო ანაზღაურება შესაბამის დაზღვევის შემთხვევაზე ხორციელდება ამ ხელშეკრულებით წინა განხორციელებული გადახდების გამოკლებით.
- 2.5. მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შესაბამისი დოკუმენტების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის თაობაზე, რომელიც ფორმდება სადაზღვევო აქტით.
- 2.6. სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას ხუთი საბანკო დღის განმავლობაში.
- 2.6.1. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის:

1) დამზღვევს აქვს საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით დავალიანება, რომლის შესრულების ვადები უკვე დადგა, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხორციელდება მოსარგებლისთვის და იგზავნება ამ დავალიანების დასაფარად;

2) მსესხებელს აქვს საკრედიტო ვალდებულებები კრედიტის დაფარვასთან დაკავშირებით, რომლის შესრულების ვადები ჯერ არ დამდგარა - სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, რომელიც დარჩა ანგარიშის გასწორების შემდეგ ამ პუნქტის 1 ქვეპუნქტით, რომელიც არ აღემატება დამზღვევის საკრედიტო ხელშეკრულების ვალდებულებების საერთო თანხას, ითვლება კრედიტის ვადამდე დაფარვად, გადაეხდება შემძენს და იგზავნება კრედიტის დასაფარად; სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, რომელიც დარჩა წლების გადახდების განხორციელების შემდეგ ამ პუნქტის 2 ქვეპუნქტით, ხორციელდება დამზღვევისათვის ან მის მემკვიდრისათვის.

2.6.2. საკრედიტო ხელშეკრულების ვადამდე გაწყვეტის და კრედიტის გადახდაზე წარდგენის შემთხვევაში, დამზღვევის დავალიანების არსებობისას შემძენის წინაშე (რაც დასტურდება ცნობით), დაზღვევის გადახდა ხორციელდება წესით, გათვალისწინებული 3. 4.1.6. პირობებით.

2.7. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულება ინარჩუნებს მოქმედებას ხელშეკრულების ვადის ბოლომდე, და მისი პასუხისმგებლობა მცირდება გადახდილი თანხით. თუ გადახდა განხორციელებულია სადაზღვევო თანხის ოდენობით, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება დამზღვევის მიმდინარე ანგარიშიდან მითითებული ფულადი თანხის ჩამოწერის მომენტიდან.

2.8. სადაზღვევო ანაზღაურების საერთო თანხა თითოეულ დაზღვეულ პირზე ერთი ან რამოდენიმე შემთხვევით არ უნდა აღემატებოდეს მთლიან სადაზღვევო თანხას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

2.9. სადაზღვევო ანაზღაურება მოიცავს დაზღვეულის მიერ მიღებული საბანკო სესხისა და მასზე დარიცხული საკრედიტო სარგებლის იმ დაუფარავ ნაწილს, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას მზღვეველისთვის წარდგენილი სესხის გაცემისა და დაფარვის სქემის მიხედვით იარსებებდა დაზღვეულის გარდაცვალების მომენტში. ამასთან, საბანკო სესხისა და მასზე დარიცხული სარგებლის დაუფარავი ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას, იგივე საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში რეალურად აღებული სესხისა და და მასზე დარიცხული სარგებლის დაუფარავ ნაწილს. სადაზღვევო ანაზღაურება არ მოიცავს თანხებს, რომლებიც დაერიცხება სესხით აღებულ თანხას და/ან შესაბამის საკრედიტო პროცენტს დაზღვეულის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენების შედეგად.

2.10. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მაშნ, როდესაც შესაძლებელია გარდაცვლილი პიროვნების იდენტიფიცირება.

2.11. დაზღვეულის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც სადაზღვევო პერიოდის დასრულების მომენტიდან ერთ წლის განმავლობაში აირსებებს გამოტანილი სასამართლო დადგენილება იმის თაობაზე, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული დაზღვეული გრდაიცვალა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

3. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის მიზეზი

3.1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის საფუძველი არის:

3.1.1. დამზღვევის, დაზღვეული პირის ან პირის ვის სასარგებლოთაც არის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, განზრახ ჩადენილი ქმედებები, რამაც გამოიწვია სადაზღვევო შემთხვევის დადგომა. აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება ქმედებებზე, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ სამოქალაქო ან სამსახურებრივ ვალდებულებების შესრულებასთან, აუცილებელი თავდაცვის მდგომარეობასთან ან ქონების, ცხოვრების, ჯანმრთელობის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან.

3.1.2. დამზღვევის, ან სხვა პირის მიერ, ვის სასარგებლოთაც დაიდო წინამდებარე ხელშეკრულება, განზრახული დანაშაულის ჩადენა, რამაც გამოიწვია სადაზღვევო შემთხვევა.

3.1.3. დამზღვევის მიერ შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება დაზღვევის ობიექტზე ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტზე.

3.1.4. დამზღვევის მიერ დაგვიანებით შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე.

3.1.5. სხვა შემთხვევები, გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

3.2. სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება: დაზღვეული პირის გარდაცვალება უბედური შემთხვევის შედეგად; დაზღვეული პირის გარდაცვალება, დაზღვეული პირის ავადმყოფობის შედეგად; დაზღვეული პირის შრომოსუნარიანობის მუდმივი დაკარგვა (ინვალიდობის დადგენა) უბედური შემთხვევის შედეგად, რომლებიც მოხდა:

- წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე;
- წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ;
- დაზღვეული პირის ან შემძენის მიერ კანონის საწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ან ჩადენის მცდელობის შედეგად;
- თვითმკვლელობის ან დაზღვეული პირის თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად;
- დაზღვეული პირის მიერ საკუთარი სხეულისათვის განზრახ დაზიანებების შედეგად, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად, აგრეთვე ტრამვების შედეგად, რომელიც მიიღო დაზღვეულმა პირმა ალკოჰოლური, ნარკოტიკური, ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფის შედეგად;
- დაზღვეული პირის მიერ ალკოჰოლის, ნარკოტიკური, ტოქსიკური, პსიქოტროპული ნივთიერებების, ექიმის დანიშნულების გარეშე წამლების მიღებასთან, თვითმკურნალობასთან ან მკურნალობასთან პირთან, რომელსაც არა აქვს სამედიცინო განათლება, დაკავშირებით;
- საომარი მოქმედებების, სამოქალაქო მღელვარების, გაფიცვების, ტერორისტული აქტების, ბირთვული ენერჯის, იონიზირებული გამოსხივების მოქმედების შედეგად;
- პოლიტიკური ხასიათის ზომების ჩატარებისას, რომლებიც ხორციელდება სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების და პოლიტიკური ორგანიზაციების განკარგულებების თანახმად.
- დაზღვეული პირის მიერ მუშაობის უსაფრთხოების და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად.

4. ხელშეკრულების მოქმედების შეცვლისა და შეწყვეტის წესი.

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება მხარეების შეთანხმებით, აგრეთვე შემდეგ

შემთხვევაში:

4.1.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება;

4.1.2. მზღვეველის მიერ დამზღვევის წინაშე ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულება;

4.1.3. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

4.1.4. დამზღვევის - იურიდიული პირის ლიკვიდაცია ან დამზღვევის - ფიზიკური პირის გარდაცვალება ან შრომისუნარიანობის დაკარგვა, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც ითვლებიან სადაზღვევო შემთხვევებად;

4.1.5. სასამართლო გადაწყვეტილების მიღება წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმებულად აღიარების შესახებ;

4.1.6. მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება - დამზღვევის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში მზღვეველი უბრუნებს დამზღვევს გადახდილ სადაზღვევო პრემიას იმ ვადების პროპორციულად, რომელიც რჩება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე, საქმის წარმოებაზე ნორმატიული დანახარჯების გამოკლებით, რაც განისაზღვრება სადაზღვევო პრემიის 30%-ის ოდენობით, და სადაზღვევო ანაზღაურების ფაქტიური გადახდებისა, რომელიც იყო განხორციელებული წინამდებარე ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განცხადება არ იქნება წარდგენილი, ხელშეკრულება მოქმედებს ანაზღაურებული ვადის ბოლომდე დამზღვევის სასარგებლოდ. წინა წლების გადახდილი სადაზღვევო პრემიები არ ბრუნდება.

5. თუ დამზღვევსა და მზღვეველს შორის წინამდებარე ხელშეკრულების თაობაზე წარმოშობილი დავა ვერ გადაწყდა მოლაპარაკებით, დავას განიხილავს საერთო სასამართლო;

6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და გადაცემულია მხარეებისათვის: მზღვეველისათვის, მოსარგებლისათვის და დამზღვევისათვის.